№ 46. მარტის 1, პარასკევი. 1866—1885 მარტის 1, პარასკევი. № 46

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რაც ფული სტატიაზე ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაშეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.

წლით ხელის-მოწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

ბიბლიოთეკა

მოგავალი საფილოქსერო კრების საყურადღებოდ.

თბილისი, მარტის 1-ს

თვე-ნახევრის შემდეგ თბილისში უნდა მოხდეს კრება იმისთანა საგანზედ, რომელიც ღირსია სრულის ყურადღებისა განსაკუთრებით ჩვენის მამულის პატრონების მხრივ. კრებამ უნდა განიხილოს და განსაჯოს, თუ რა საშუალება იქნება საუკეთესო ევნახების ახალ მტერთან—ფილოქსერასთან-საბრძოლველად. მოგეხსენებათ, რომ სულ ოთხი-ხუთი წელიწადი არ არის, რაც ფილოქსერა სოხუმის ახლო-მახლო გამოჩნდა და ამ ოთხ წელიწადში თუმცა ერთიანი ადგილი გაბმით არსად დაუჭერია, მაგრამ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეს დაეტყო კვალი მისის საზარელი და მავნე მოქმედებისა.

თბილისში დაარსებულმა საფილოქსერო კომიტეტმა თუმცა თითქო მუყაითობა გამოიჩინა, თუმცა იმ ადგილებში, სადაც კი ფილოქსერა გამოჩნდა, გაგზავნა კიდეც მეურნეობის მცოდნეთა ხელ-მძღვანელობით რამდენიმე პირნი ფილოქსერის საძებნელად და მის გასაწყობად ცეცხლით, თუ წყალით, მაგრამ, ზოგი დაუდევრობის მიზეზით, ზოგი სიმცირის გამო თვით ფილოქსერას, რომელიც მართლა ისე მცირე და შეუმჩნეველია, რომ ყოველგვარ მავნე საშუალებას, უვნებლად გადურჩება ხოლმე,—ეს მოუსვენარი მტერი ვაზისა ჯერ კიდევ კეთილ-ცხოვრებაშია და წლითი წელ მისი სამფლობელო უფრო ფართოედება, არამცთუ შეიწროვდეს.

არც ერთი საშუალება, რომელსაც ხმაროობს საფილოქსერო კომიტეტი ამ მწერის წინააღმდეგ, ახალი არ არის. ყოველი მათგანი მრავალჯერ და მრავალგვარად იქმნა ხმარებული სხვა ქვეყნებში, რომელნიც ჩვენზედ ათასჯერ უფრო მოხერხებული და განათლებული ხალხით არიან დასახლებულნი, მაგრამ ყოველმა მათგანმა უქმად და უსარგებლოდ ჩაიარა, როგორც დარწმუნებულნი ვართ, ჩვენშიაც ჩაივლის, გარდა ერთის საშუალებისა, რომელზედაც გვინდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება. ეს საშუალება შეიძლება ყველგან იქმნას ხმარებული, როგორს მდებარეობაშიაც უნდა იყოს საევნახე ადგილი. იგია ამერიკული ვაზის გადმორგვა და მასზედ მყნობა საუკეთესო ვაზის რქებისა. ამერიკულ ვაზის ფესვებს სრულიად არ ერჩის ფილოქსერა და ამიტომაც იგი უხვად იქნა გადმორგული ევროპის ნიადაგზედ. მაგრამ, რადგან ამერიკული ვაზი დაბალი ღირსების ღვინოს იძლევა, ამიტომაც, გადმორგულ ვაზზედ ამყნეს საუკეთესო ვაზის რქები და ამ გვარად ფესვიც «დააზღვევეს» ფილოქსერის თავ-დაცემისაგან და ნაყოფიც გაატკბეს.

ეს საშუალება თუმცა ჯერ-ჯეროობით ერთად-ერთ უებრო საშუალებად გამოდგა, მაგრამ მეტად ძვირადა ჯდება. არამცთუ ჩვენის მემამულეებისათვის ძნელად საფიქრებელია ამ ხარჯის ატანა, ბევრნი ევროპიელნიც ვერა ჰბედავენ და სხვა პალიატივურ საშუალებასა რჩეობენ, როგორც მაგალითად ვენახებში წყლის დაგუბებაა, ქვიშის დაყრა, ან ნახშირ-გოგირდის ყრა.

მაშ თუ ევროპიელთათვის ძვირია, ჩვენთვის ხომ სრულიად შეუძლებელი უნდა იყოსო, იქნება იფიქროს მკითხველმა. ჩვენც მკითხველს დავეთანხმებით, რომ ჩვენი ღვინოების დაბალი ფასების გამო, ყოველად შეუძლებელია იმაზედ ფიქრი, ამერიკიდამ ვაზები გადმოვრგოთ და მასზედ ვანამყნოთ «მწვანეს» და „საფერავის“ რქები. მაგრამ მრავალფერი ბუნება ჩვენის ქვეყნისა იმედს გვაძლევს, რომ იქნება ისე შორს წასვლა არ დაგვჭირდეს და თვით ჩვენშივე გამოიძებნოს იმისთანა ვაზები, რომელნიც ფილოქსერის მავნე საწოვარს იარაღს წინა-აღუდგენ.

ეს ფიქრი შემდეგის მოსაზრებით არის ჩაგონებული: ამერიკის ვაზებს იმიტომ ვერას აკლებს ფილოქსერა, რომ მათი ფესვების კანი უფრო სქელია და ამ მიკროსკოპიული ცხოველის ხორთუმი შიგ ვერ ატანს. ევროპიული ვაზები კი დიდის ხნის კულტურით ისე განაზებულან, გასათუთებულან, განებივრებულან, რომ ყოველ გვარი მავნე მოვლენა მათზედ საშინელის სიმკაცრით მოქმედობს და მიწასთან ასწორებს. ჩვენი ვაზები კი, ყველგან თუ არა, ბევრგან მაინც, თითქმის ღვთის ინაბარას არიან მინებებულნი და იქნება მათი ბუნება ბევრად ჰგავდეს ამერიკულ ვაზებისას. ქახეთის ვაზმა რომ არ გაამართლოს ჩვენი იმედი, იქნება ქართლისას, იმერეთისას, ან ლეჩხუმისას ფესვზედ ისე-

---

«დროების» ფელეტონი, მარტის 1-ს.

მთვარეს

დიმის სიმღერა.

შუქ-მოფენილი ამოხველ, მთვარე,
და განანათლე ეს არე-მარე,
მაგრამ კი ჩემთვის ისევ ბნელია,
ალარ მაქვს ძალი, შემომელია.

—

მნათობო, მჩაგრავს მუხთალი ბედი
და გულში ჰქრება ტკბილი იმედი;
მელარა ეხედავ ვერსად კეთილსა,
ბოროტებისგან ფეხ-აკვეთილსა.

—

გულში ჩამიწვა, ფერ-მკრთალო მთვარე,
ბუნდი სევდისა, შავად მღელვარე,
და უნუგეშოდ მარტოკა ვსდნები,
ვსტოვებ ქვეყანას და ვესალმები.

—

მომბეზრდა ქვეყნად სიცოცხლის თრევა,
მუდამ დღით კვნესა და ღამის თევა,
და აწ კი მიჯობს შენ, ჩემო მთვარე,
რომ გავითხარო ცოცხლად სამარე.

—

ვსცანი ამ ქვეყნის ამაოება
და მყის გამიქრა სარწმუნოება.
საფლავს მოვნახავ, შენ, ჩემო მთვარე,
და სხივი უხვად გადმომაყარე.

—

აქ მრჩება სატრფო, მნათობო მთვარე;
შენსავით მკრთალი და გულ-ჭმუნვარე,
შეპყრობილია, ჰკლავს გასაჭირი,
ის ჩემთვის სტირის, მეც მისთვის ვტირი.

—

მთვარევ, უთხარი იმ ჩემს გულის მკვლელს,
რომ უპატრონოდ ეაგდივარ მე ბნელს,
სთხოვე, რომ ხშირად მომნახოს მანა
და ნაღვლიანად დამკვნესოს «ნანა».

—

ოჰ, გასწი, გასწი, გაჰქანდი, მთვარე,
იპოვე ჩემი სამშობლო მხარე,
ჩქარა მონახე შენ ჩემი გვრიტი,
წინ დაუფრქვიე სხივ-მარგალიტი.

ცასელი.

საზარელი სამკვიდრო

ფილოსოფიური მოთხრობა

ბ. ბალფრუასი

ფრანცუზულიდამ *

— მე მამი შენის გვამი არ გამიჭრია, მაგრამ იმის მამისა, პაპაშენის გვამის გაჭრა კი მომიხდა. მაშინ მე ჯერ ჰაბუკი ვიყავ და სწავლაში გართული, როდესაც პაპა შენი, რომელიც იშვიათად სტოვებდა თავის ნანსის სახლს, გამოემგზავრა პარიჟში. იმ დროს იქნებოდა ასე ორმოცდა ათ წლამდის, წამოსადეგი, ჭარმაგი, ენერგიული და ძალოვანი სახის გამომეტყველობით. ერთის სიტყვით, მამა შენი ისე გვანდა იმას, როგორც შენ ჰგავხარ მამა შენს. რაც შეეხება მის ზნეობას, ერთი უცნაური კაცი იყო: თითქმის მუდამ მშვიდს ყოფაქცევას და სრულს ჭკუა-გონებას იჩენდა, მაგრამ ამ გარეგანი სიმშვიდით მალავდა თავის მოუდრეკელ ხასიათს და ბუნებითს სიმკაცრესა. ეს ბუნებრივი მიდრეკილება მხოლოდ წვრილმან საქმეებში გამოჩნდებოდა ხოლმე და არც ერთხელ ცხოვრების შესანიშნავ შემთხვევებში თავი არ უჩენია. ძმისის კარგი მცოდნე იყო, თუმცა მეცნიერების შესწავლა მამა შენსავით წინ ვერ წასწია; სხვა-და სხვა საწამლავები ბევრ რიგად გამოიკვლია მან და ერთი კიდევ ის სჭირდა, რომ პირუტყვებზედ უყვარდა თავის გამოგონების გამოცდა, მეტადრე კატებზედ, რომელნიც საოცრად ეჯავრებოდენ. იმათ დასახოცად განსხვავებულ ხერხებსა ხმარობდა. ასე დაწვრილებით იმის გარემოების შეტყობა, რასაკვირველია, მხოლოდ იმასთან ერთად, ან ერთ-ერთ ... ...

თი სქელი კანი ეკრას, რომელიც გაუმაგრდეს მომაკედინებელ ხორთუმს ფილოქსერისას და თუ ესასე იქნება, მაშინ ერთი ასად უფრო გაადვილდება ამ მწერთან ბრძოლა.

ვგონებთ, არ ვსცდებით, რომ ღლემდის ჩვენს ქვეყანაში ფილოქსერა მხოლოდ იმისთანა ვაზებზედ აღმოჩნდა, რომელნიც უცხო ქვეყნებიდგან შემოუტანიათ და ადგილობრივი ვაზები კი გადარჩენილნი არიან. ამაზედ და სხვა ამის მსგავსს მოვლენაზედ უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება მოსალოდნელმა საფილოქსერო კრებამ და განსაზღვროს, თუ რა განსხვავება არსებობს ჩვენსა და სამხღვარ გარეთულ ვაზებ შორის, რომ ეს განსხვავება გამოვიყენოთ ფილოქსერასთან ბრძოლაში. მაგრამ, თუ კრებამ ეს საგანი სახეში არ მიიღო და მოინდომა მხოლოდ იმავე პალიატივური საშუალებათა ხმარება, რომელნიც საფუძვლიანს არას წარმოადგენენ, იქნება ცდამ სრულიად ამაოდ ჩაუაროს.

შინაური ქრონიკა

= ბატონიშვილის პახუშტის საქართველოს ისტორიას, რომელიც გამოდის ჩვენის ისტორიკოსის დ. ზ. ბაქრაძის რედაქტორობით, დართული ექნებაო, გვითხრა თვით პატივცემულმა რედაქტორმა, საქართველოს ისტორიის სხვა-და-სხვა დროს პოლიტიკურისა და ეტნოგრაფიულ მდგომარეობის გამომხატველი ისტორიკო-ეტნოგრაფიული რუკები, რომელთაც უსასყიდლოდ ხატავს ქავკასიის სამხედრო უწყებაში განთქმული ქართველი კარტოგრაფი ბ-ნი წიდლოსანი.

= ყვავილი მოსდებია მთელ სამხრეთ-ოსეთის ქვემო ნაწილს, როგორც გვაცნობებს ბ-ნი ზ. ლიახველი. ამცრელიც კარგი ჰყოლიათ, ვიღაც ზ—შვილი, მაგრამ ოსები უარს ამბობენ აცრაზეო. მიზეზი უარის თქმისა მკითხველებიაო, რომელნიც ურჩევენ ხალხსა: ნურავის ააცრევინებთ, «ძუარებს» ეწყინებაო.

დროა, გვგონია, ხალხს აეხსნას აცრის მნიშვნელობა და მით მთელი მხარე დახსნილ იქმნას განსაცდელისაგან.

= როგორცა გვწერენ, პატარა-ლიახვის მხარის ოსებს არაყის გამოხდის ნებას არ აძლევსო თურმე ადგილობრივი ადმინისტრაცია. ენკენისთვეში რომ ნება-რთვა გამოვიდა არყის გამოხდისა—ნეტა რა იქნა ის უფლება?

= ძუთაისიდამ გვწერენ: «თებერვლის 26-ს აქ იყო გამართული ღარიბ ყმაწვილების სასარგებლოდ ქართული კონცერტი. ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ძარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე ჩვენი ქუთაისის არისტოკრატების მონაწილეობის ძიღებამ ამისთანა კეთილ საქმეში და კელავაც ი

მეს. ფაქტები მრავალია და აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენსამე: სოფ. ფცის მემამულეები, როგორც შევიტყეთ, დღიურს 15 მანათად აძლევენ, აგრეთვე თ. ნ. დისამიძე, ქვემო-ქართლში ამილახვრიანი და სხ. ღმერთმა ქნას, რომ ამათ ბევრი მიმბაძავები გამოსჩენოდენ და მით დღეს დავარდნილი გლეხ-კაცობისთვის ამათ მაინც „სევდის ღილი" შეეწყვიტოთ და თვითონ მემამულეებიც თვალ-ცრემლიანნი არ დარჩენილიყვნენ.

რამდენადაც პირველი გარემოება ცოტათი მაინც სანუგეშოა, იმდენად მეორე გარემოება (მოხელეების არჩევანი) სამწუხაროა და სავალალო... არ იქნა, არა, სოფ. მოხელეების არჩევანმა ჩვენს ნიადაგზე ვერ მოიკიდა საიმედო ფეხი. სოფლის მეთაურობა ისევ ისე ზნეობით დაცემულ, გაქლესილ და ცხოვრებით გახუნებულ ადამიანებს რჩებათ და ეს სამწუხარო მოვლენა ერთის შეხედვით ჩვენს გლეხებს ამტყუნებს, რადგანაც ამათ კანონი თვით-მართველობის, მაშასადამე თვით-არჩევანის უფლებასაც ანიჭებს; მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც და ვიტყვით, რომ ჩვენი გლეხი გამჭრიახობით და შორს-გამჭვრეტელობით არც ერთს სხვა წოდების წარმომადგენელს არ ჩამორჩება, მაშინ მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა სულ სხვა გარემოებებით უნდა აიხსნებოდეს; ვიკითხოთ ჩვენთვის — თუ რა აქტიურ მონაწილეობას აღებინებენ ჩვენს გლეხ-კაცობას მოხელეების არჩევანში? ზანა ჰკითხავენ რასმე გლეხ-კაცობას ადმინისტრაციის წარმომადგენელნი? და თუ ჰკითხავენ რასმე მართო ხომ იმას, რომ ესა და ეს კაცი ძალიან საიმედო კაცია, თქვენს მოხელედ ეს გამოდგება, ეს წაგიძღვებათ წინაო. გლეხები არჩევანის დროს უცქერიან ერთმანეთს, აქნევენ თავს, ბოღმაზედ ერევათ გული და „უარესისაგან, უფალო, დაგვიხსენის" ძახილით ირჩევენ, მკითხველმა რომ ეს ლიტონ სიტყვად არ ჩამომართოს, ვთხოვ თავისი ბედნიერი თვალი გადაავლოს პროვინციის არე-მარესაც და დარწმუნდება, რომ მოხელეებად უმეტესი ნაწილი მაზრის მოხელეების ან ნათლიმამები არიან, ან „მიმტან-მომტანნი" და ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად, ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველად კი — იგინი სრულებით უვარგისნი არიან. ფაქტების საძებნელად რომ შორს არ წავიდეთ, გადავხედოთ კასპის სოფ. მართველობას და ვიკითხოთ — თუ ვინ ატრიალებს საქმეს და წინად ვიღა ატრიალებდა? ამას წინად, მინამ ზორის სფეროში რაიმე ცვლილება მოხდებოდა, კასპელებმა მამასახლისად ამოირჩიეს მართლა რომ სოფლისთვის თავ დადებული კაცი, ნ—შვილი; არ გასულა ბევრი ხანი, რომ ამ მოხელეს, ერთი „მანდილოსნის" ჩაგონებით, შეუფუცხუნეს მენდალი ჩამოჰხსნეს და ამის მაგიერობა, ხალხის დაუკითხავად, ერთს მეჯინიბეს, ჩააბარეს. რადა? ამისთვისა რომა... ესე სწადდათ ზოგიერთებს. როდესაც გაუთავდა ამასაც მამასახლისობის ყაბული, კანდიდატად ისევ ეს სომეხი ჩასჩხირეს და აბა ნუ ინებებდენ ამის ამორჩევას.., და ამოირჩიეს კიდეც.

აი, ასეთია სოფ. მოხელეების არჩევანი და აბა იფიქრეთ, რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამ არჩევანს, რომლის დროსაც არ შეუძლიანთ გლეხებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ამოირჩიონ ისეთი საიმედო მოხელეები, რომელნიც შეეძლოთ გლეხებს შეამკონ ძველებურად ამასთანა ლექსით:

«შენი ჭირიმე ჭირშია,
კარგი ხარ გასაჭირშია;
ყორანიც მოჩხრიდილებდა
შენი ულვაშის ძირშია.»

ჭ—ლა.

წერილი რედაქტორთან

თქვენს პატივცემულს გაზეთში (მე-39 ნომერში) წავიკითხე რაჭიდამ გამოგზავნილი ნ. მ—შვილის წერილის პასუხი, შესახებ ახლად გაუქმებულის სხვავის ნათლის-მცემელის მონასტრისა. ნ. მ—შვილის მოპასუხე ამართლებს ნანია ჯაფარიძეს და ამტკიცებს ჩემმიერ გამოგზავნილ (31 გავლილ დეკემბერს) ყოვლად უსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზისადმი განცხადების სიცრუეს და დასძინებს, რომ ამ საგნის შესახებ გამოძიება მოხდა და აღმოჩნდაო, რომ ნანია ჯაფარიძეს არამცთუ შეებილწოს მოხსენებული მონასტერი, არამედ კიდევაც გაეუმჯობესებინოს კარის გაკეთებით და სხვ... ამასთანავე ამტკიცებს, რომ რაჭიდამ გამოგზავნილი განცხადება ბაქრაძისა ამ საგანზედ უნდა იყოსო დაწერილი მტრობის მიზეზით, რომელიც თურმე არსებობს ამ ბაქრაძესა და ნანია ჯაფარიძეს შორისო.

აი, ბატონო რედაქტორო, საქმე რაში მდგომარეობს: მე „გიდაცა" ბაქრაძეს იმ მონასტერში მისაფლავია პაპა და ბებია-ჩემი და როდესაც ვნახე ეს მონასტერი წაბილწულ მდგომარეობაში ნანია ჯაფარიძისაგან, მაშინვე ავსწერე ყოველივე ეს გარემოება და მოვახსენე მისს ყოვლად-უსამღვდელოესობას იმერეთის მწყემსთ-მთავარს, იმ იმედით, რომ მისი მეუფება გარდასცემდა ამ მოხსენებას გამოსაძიებლად — და გადასცა კიდეც ერთს პირს, რომლის გამოძიებითაც მე კმაყოფილი არა ვარ. მე კვალად ვსთხოვ მათს ყოვლად-უსამღვდელოესობას რომ მიანდოს გამოძიება ამ საგანზედ ან ადმინისტრაციას, ან დეკანოზ ალექსი ბიორგობიანს, ან დეკანოზ ალექსი ჭიჭინაძეს. მაშინ მე სრული იმედი მექნება, რომ არც ერთი მათგანი მრუდის გზით არ მოახდენს გამოძიებას. მიკვირს ამ ნ. მ—შვილის მოპასუხემ რისთვის შეარცხვინა ჩემი მოხუცებულობა და რად დაამდაბლა ასე ქრისტიანი მოხუცებული კაცის სვინიდისი, რომ ნანია ჯაფარიძის მტრობით მე სიცრუე მოვახსენო ქრისტეს წარმომადგენელს პირს. უმორჩილესად ვსთხოვ იმ თავ-ურინარს მოპასუხეს, თავი გამოაცხადოს და მიბრძანოს საიდგან დაამტკიცა ჩემგნით სიცრუის მოხსენება. მე თუ წინდა-წინვე მცოდნოდა, რომ ქუთაისის ეპარქიის კანცელიარიას ასეთი საქმის მაწარმოებელი ჰყავდა, რომ დამნაშავეს ვექილად გაუხდებოდა, არც კი ვიფიქრებდი ამ ზემოხსენებულ საგანზე საჩივრის აღდგენას. პასუხიდან სჩანს, რომ უნდა იყოს მოპასუხე უთუოდ კანცელიარიის საქმის მწარმოებელი და არავინ სხვა.

რაჭის მაზრის სოფლის სხვავაში მცხოვრები
სვიმონ ნიკოლოზის-ძე ბაქრაძე.

თებერვლის 21.
ქ. ქუთაისი.

გახსნილი წერილი

თავად რ—აზ შ—ს-ძე ერ—თან.

თავადო რ—აზ! „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო", ამბობს გონივრული ქართული ანდაზა და ამ ანდაზამ გამაკადნიერა მომეწერა თქვენთვის ეს გახსნილი წერილი. აგერ ოც-და-ათი წელიწადი იქნება. საზოგადო ასპარეზზედ მოქმედობთ და მგონია არავინ იქნება, რომ თქვენს მოქმედებაში რაიმე ეჭვი შემოიტანოს. მაგრამ ეხლა კი „ერთმა თაგვმა ასიანი წაპილწა", ე. ი. ერთმა ჩირქიანმა კაცმა ზოგიერთებს ეჭვი შემოატანინა თქვენს მოქმედებაში. თუ ამ წერილს ყურადღებას მიაქცევთ, აი ამ ასიანის წამპილწავს თაგვზედ რას მოგახსენებთ:

გორის კრუჟოკის წარსული 1884 წლის ანგარიში თქვენს მაგივრად გ. ბ—ემა წარმოგვიდგინა წევრებს და შემოსავალ-გასავალი თითქმის ორის ციფრით აღნიშნა: შემოსავალი ამდენი იყო და გასავალი ამდენიო. რასაკვირველია, კრებამ ეს ანგარიში არ მიიღო, რადგანაც არა სჩანდა, საიდამ რა შემოვიდა და რაში რა დაიხარჯა.

აგერ წელიწადი ლამის გავიდეს, სტარშინებს ვსთხოვეთ ანგარიშს და ისინი პასუხად ამას გვეუბნებიან: თქვენი ხაზინადარი რ—ზი არის და იმას მოსთხოვეთ ანგარიშიო. დღევანდლამდის მართლა ვერ გაგვიგია, ვინ უნდა წარმოგვიდგინოს ანგარიში; ეს-კი ნამდვილად ვიცით, რომ ხაზინადრად თქვენ ამოგირჩიეთ და თქვენც იკისრეთ. მაგრამ იქნება მართლა თქვენის მხრივ გ. ბ—ვს ჩააბარეთ ხაზინადრობა? ეს როგორ მოგივიდათ? ზანა არ იცნობთ, რა შვილიცა ბძანდება გ. ბ—ვი? თქვენც უნდა კარგად იცოდეთ, რომ იგი არც ერთის პოლკიდამ უსკანდალოდ არ დაუთხოვნიათ. ვთქვათ ეს არ იცოდით, ეს ხომ მაინც იცოდით, რომ მას კრუჟოკი რამდენსამე წელიწადს [illegible] ვაი-ვაგლახით ჩამოართვეს [illegible] ამისთანა ჩამორთმევას! ვალის მეტი არა გადაუცია-რა სტეფანოვისათვის. ამ სტეფანოვმა კი საქმე სრულიად გასწმინდა და სამი თუმანიც მოგება გვაჩვენა. ის აყალ-მაყალი მაინც გაგებული გექნებათ, რომელიც გ. ბ—მა მოახდინა კრუჟოკში ამ ორის თვის წინად და ეხლაც საწევრო ფულის გადაუხდელად დაიარება კრუჟოკში, მაშინ როდესაც საწყალი მასწავლებლები კი დაითხოვეთ? ამ ამბების შემდეგ მიკვირს როგორ-ღა მიენდეთ მას. ისე არ შევალ კრუჟოკში, რომ წარსულის წლის ანგარიშის შესახებ არ განგაშობდენ და ყველანი თქვენ არა გდებდენ ბრალს.

ვიცი ჩემის პიროვნების გაგებას მოიწადინებთ, მაგრამ ამაოდ ნუ დაშვრებით, ვერ გაიგებთ. მაშინ კი, როდესაც ბ. გ. ბ—ვს სვინიდისიერს ანგარიშს წარმოადგენინებთ, იქნება მე თვითონ გიახლოთ და მადლობა გადაგიხადოთ ამ ჩემის წერილის ყურადღებაში მიღებისათვის. ამასთანავე წინდა-წინვე გიცხადებთ, ყურადღება მიაქციოთ ბ—ვის ანგარიშს, თუ ათი კალოდის მაგიერ ხუთი რადა აქვს დანიშნული და სხვა, თორემ წევრებს ბევრი გასამტყუნებელი საბუთები აქვთ.

თქვენი ერთგული ერთი წევრთაგანი.

თებერვლის 22-ს.
გორი.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟმა დიდებულად იდღესასწაულა თებერვლის 14. ვიქტორ ჰიუგომ ამ დღიდამ გადააბიჯა მე-84 წელში. აურებელი დეპუტაცია გამოეცხადა თაყვან საცემლად დიდებულს პოეტს მეცხრამეტე საუკუნისას. საფრანგეთი ამაყობს ვიქტორ ჰიუგოთი და სამართლიანადაც ამაყობს.

„ბუნების წინააღმდეგი როლია, რომელსაც ვამბობთ — ვიქტორ ჰიუგო ბატონია საუკუნისაო, რადგან თვით იგია საუკუნე. ყოველი კეთილი, მშვენიერება, ჭეშმარიტება, გამომხატველია მისი იდეისა. პოეტნო, ვის სტრიქონებს დამღერით თქვენ? მისას. — დრამატურგნო, ვისი მოწაფენი ხართ თქვენ დრამითა? იმისი. რომანისტნო, ვინ დაფუძნა თავისუფლება თქვენი? იმან. ჰიუგო — ეგ ჩვენი მცნებაა სჯულისა". — ამ რიგად აფასებს ვიქტორ ჰიუგოს ერთი კრიტიკოსი. თებერვლის 14-ს შუადღიდამ დაიწყო დენა ურიცხვმა ხალხმა ჰიუგოს სადგომისაკენ. მთელი მორთულობა პოეტის სახლისა დაფარა ყვავილ-ვარდებმა. ორს საათზე პოეტს გამოეცხადენ პასის ლიცეის მოწაფენი; ამათ ია-ვარდებით სავსე კალათი მიართვეს იუბილიარს. ვიქტორ ჰიუგო დიდს ხანს ელაპარაკებოდა მოწაფეთა ძღვენს და ბოლოს შემდეგის სიტყვებით მიმართა ყრმათ: «თქვენა ხართ იმედი საფრანგეთისა; იყავით

ჰეშმარიტი ფრანცუზები!» მთელს დღეს არ შესწყდა ხალხის დენა. საღამოს პოეტისს შეიკრიბნენ ყველა გამოჩენილნი საფრანგეთისა; არა სჩანდა მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტი გრევი, რომელსაც ეთქვა: „მე ვერ დავესწრები იმ დღეობაზე, სადაც პირგელობს სხვა!“ საღამოთი იუბელიარმა მოკლეს სიტყვით მიმართა სტუმრებს და დააბოლოვა: „მაუმარჯოს საფრანგეთს! სცოცხლებდეს რესპუბლიკა!“ ხალხმა დასძახა: „სცოცხლებდეს ვიკტორ ჰიუგო!“

იტალია. ცხადია, რომ ინგლისმა ააგულიანა იტალია და ადვილი მოსალოდნელია, ამ აგულიანებას ოსმალეთისა და იტალიის შუა შეტაკებაც მოჰყვეს. იტალიის გემებს ბატონობა ჰსურთ დაიმკვიდრონ მეწამულს ზღვაში და ოსმალეთის გემებისათვის გზა გადუღობავთ. ბერლინში-კი ისმისო ხმები, რომ ახალი ევროპიული კონფერენცია უნდა შესდგეს ოსმალეთისა და იტალიის მოსარიგებლად.

სუდანი. ბორდონის მოკვლის ამბავი დაბოლოებით მტკიცდება ერთის კათოლიკე მონაზონის ეინმე ვინცენტინისადმი მოწერილის ბარათით ხართუმიდან. ფოსტის გამგე მოხელე ქედივის განკარგულებისამებრ გადასცა ეს წიგნი ინგლისის მთავრობას. მონაზონი იწერება, რომ არაბებმა ამოსწყვიტეს ხართუმში ორი ათასამდე ევროპიელი და ამათ რიცხვში ბორდონი და ავსტრიელი ელჩი. ბარდა ამისა ბორდონისაგან სუდანის ერთ საგენერალ-გუბერნატოდ დანიშნულს ქაშეფ ელ-მუსს უნახავს მდ. ნილოსში მკურავი დახოცილთა გვამები; ორ-ორი გვამი ხურგ-შეკცევით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი. ბორდონის თავ-გადასავალი ბევრის ადგილობრივ მცხოვრებთათვის გამოუკითხავს ამ კაცს და უფრო ბეჯით ამბავად ქვემოდ მოყვანილი მიაჩნია: ბორდონი რამოდენიმე ერთგულის მეომრით ჩაკეტილა კათოლიკე ეკლესიაში. ბაჰდის ძიეცა წინადადება, რომ დამნებდიო და რაკი უარი მიიღო ბორდონისაგან—დაეკცია ეკლესია და შიგ მყოფნი ყველანი აძოეკლიტა. თებერვლის 3 ხართუმისკენ გაგზავნეს მდევარი ნამდვილი ამბავის შესატყობად. ამას შეეტყო, რომ ბორდონი მოეკლათ ხახჯლით; როდესაც არაბებმა შეიპყრეს ბორდონი, ამათ კარგა ხანს არჩიეს თურმე—მოეკლათ, თუ ცოცხალი წარედგინათ გენერალი მაჰდისათვის. და ბოლოს გადასწყვიტეს მოკლვა, რადგან ბორდონს სთვლიდენ ყოველის უბედურების მომველენელად სუდანზე.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“.

თებერვლის 27-ს.

ხარკოვი. ტაგანროგის დამოქნაში მომხდარს ბოროტ-მოქმედებათა შესახებ გამოძიება დასრულდა დღეს და ეხლა დაიწყეს ბრალმდებელ სიტყვათა წარმოთქმა.

ნიუ-იორკი. გვატემალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბარიოსამ განიზრახა საშუალო ამერიკის სახელმწიფოთა დაკავშირება და საზოგადო რესპუბლიკის დაფუძნება; ამის გამო გვატემალასა და ნიკარაგვოის შორის გამოცხადდა ომი.

თებერვლის 28-ს

კენტერბურგი. სანამ, 1888 წლამდის, გენერალურს შტაბში ახალი აკადემიური შტატი დაარსდებოდეს—ყოველ წლივ აკადემიაში მიღებულ იქმნებიან 50 მაგივრად 70 აფიცერი.

მოსკოვი. საპოტკოვის ბანკის საქმის გამო დასჯილ იქმნენ: დირექტორი ბანკისა ბობროვი 20 თვით ტუსაღთა განყოფილებაში გაგზავნით; თანაშემწე დირექტორისა კუზნეცოვი ოლონეცვის გუბერნიაში გაგზავნით 4 წ. ვადით.

ბოსკოვნი. ხუთის დღის ომის შემდეგ ფრანცუზებმა აიღეს ჩინელების სიმაგრენი კე-ლუნგთან. აქ ფრანცუზებს მოუკლეს 40 და დაეჭრეს 200 მეომარი.

ლონდონი. საზოგადოებათა შალატაში ხაზინის განცლერმა ჩაილდერსმა სთქვა, რომ არავითარი ცნობა არა აქვს შესახებ რესების მოძრაობისა ავღანის სამზღვრებისკენ.

„დროების“ ფოსტა.

ტ—ეს. სრულიად ნურაფერი გეფიქრებათ.

3—ს. დ. კ—შვილს. თქვენს კორესპონდენტიებს სიამოვნებით დავბეჭდავთ. ნუ გეწყინებათ, თუ თქვენი თხოვნა დაბოლოებათა შესახებ ვერ შეგასრულეთ: ერთხელ მიღებულის შეცვლა გვეძნელება.

ბ—შვილს. მაგ საგანზედ „დროებამ“ თავისი აზრი წარმოსთქვა.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის ბამგეობაში მომავალის მარტის თვის 5-ს დანიშნული არის ეაჭრობა (აუქციონი) გაცემისათვის. ოჯახით, ერთის წლის ვადით ქალაქის განათებისა. მაჭრობა დაიწყება ათს საათზედ და გათავდება ორ საათზე. პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ბამგეობაში ყოველ დღეს, გარდა უქმიდღეებისა.

(3—3)

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის ბაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—10)

საგლობუსო PATENT GLOBE POINTER PEN კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისიეულს ქარავასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირ-სახოცები, ჭოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისიეულის ქარავასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—5)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარავასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიასა ლანგოსა) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარს გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ყველოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩვენი	ჩაი	1	მან.—კაპ.	ჩაის	სხვაგან	1	მან.	20	ლირებულს.
,,	,,	1	— 20 —	,,	,,	1	— 50	—	
,,	,,	1	— 40 —	,,	,,	1	— 80	—	
,,	იშვიათი	1	— 60 —	,,	,,	2	— 20	—	
,,	ჩინეთის უკეთესი	1	— 80 —	,,	,,	2	— 50	—	
,,	ფუჩეკუ	2	— ,, —	,,	,,	2	— 80	—	
,,	ფუნოკანი	2	— 40 —	,,	,,	3	— ,,	—	

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია აკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესსენციანი კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავატები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ყიდის უზეკულებრივ სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავატებისას და სხვ... (100—5)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Февраля 1885 г. სტამბა არ. ალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.